საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030112057919820

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4220 **13 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N699 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის N2377 განკარგულებით დაფუძნდა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო „ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ დაფუძნება და რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. დაფუძნების შემდგომ მისი დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილების განხორციელება დაევალა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ყოველიზე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული ჰოლდინგის ფუნქციონირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის“ პროგრამის (პროგრამული კოდი - 27 01) ჩაშლას, კლინიკების მართვის ღონისძიების განხორციელების მიზნით დაემატოს ახალი პროგრამა „სამედიცინო ჰოლდინგის კლინიკების განვითარების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 01 09; განმახორციელებელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ფუნქციონალური კოდი -7.7.6; საიდენტიფიკაციო კოდი - 202486559). ხოლო, აღნიშნული კლინიკების აღჭურვა/ რეაბილიტაციის განხორციელებისთვის, პროგრამის „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ ჩაშლას დაემატოს პროგრამა „სამედიცინო ჰოლდინგის კლინიკების აღჭურვა და რეაბილიტაცია“ (პროგრამული კოდი - 27 04 03; განმახორციელებელი - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; ფუნქციონალური კოდი -7.7.6; საიდენტიფიკაციო კოდი - 402157330).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, განახორციელოთ სტრუქტურული ცვლილება.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური